

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას
ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.



„მხიარული ავტობუსი“ ვაკის პარკში

1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს „მხიარული ავტობუსი“ ბავშვებისთვის ვაკის პარკში „ჩამოდგა“. „მხიარული ავტობუსი“, ანუ სოციალური ცენტრი ზორბლებზე საქართველოს SOS ბავშვთა სოფელის პროექტია და მრავალფეროვან შემეცნებით, სათამაშო, გასართობ ღონისძიებებს აერთიანებს. ბავშვები თამაშის საშუალებით ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს, ცოდნას, თანატოლებთან და უფროსებთან ურთიერთობას.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

„მხიარული ავტობუსი“ ვაკის პარკში

(გაგრძელება)

„მხიარული ავტობუსის“ გუნდი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ბავშვთა სახლებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, პარკებში მართავს სხვადასხვა ღონისძიებას.



მშობლების გარეშე. სწორედ ამის გამო დაიწყო ჰერმან გმინერმა პირველი SOS ბავშვთა სოფლის მშენებლობა. ბავშვთა სოფლების მიზანია მყუდრო, კეთილგანწყობილი გარემო შეუქმნას მზრუნველობამოკლებულ, ობოლ ბავშვებს. სოფელი ოჯახურ მოდელზეა აგებული და ემყარება ოთხ პრინციპს: დედა, და-მმა, სახლი და სოფელი. თითოეული ბავშვს ჰყავს თავისი SOS დედა, რომელიც ზრუნავს ამ ბავშვზე და უქმნის მას უსაფრთხო, სტაბილურ და თბილ ატმოსფეროს. SOS დედა ცხოვრობს თავის ბავშვებთან ერთად, ხელმძღვანელობს მათ აღზრდა-განვითარებას და უძღვება ოჯახს. ბავშვებს ჰყავთ SOS და-მშები და თითოეული ოჯახი საკუთარ სახლში ცხოვრობს. ამ სახლებში ბავშვები ერთად იზრდებიან, ერთად სწავლობენ, ინაწილებენ ვალდებულებებს, SOS ოჯახები გვერდი-გვერდ ცხოვრობენ და ქმნიან სოფელს

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს „მხიარულმა ავტობუსმა“ საქართველოს SOS ბავშვთა სოფლის ინიციატივით და საქართველოს ბანკის მხარდაჭერით უამრავ ბავშვს უმასპინძლა და გაამხიარულა. ერთობლივ ღონისძიებას კიდევ ერთი მიზანი ჰქონდა – გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომელიც ამ დღისთვის სპეციალურად დაიბეჭდა და გავრცელდა.

SOS ბავშვთა სოფლები მსოფლიოს 132 ქვეყანაში ფუნქციონირებს. საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი 1989 წელს დაარსდა. ბავშვთა სოფლების ისტორია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ავსტრიაში იღებს სათავეს. ომის შემდგომ უამრავი მზრუნველობამოკლებული, ობოლი ბავშვი დარჩა



საქართველოში SOS ბავშვთა ორი სოფელი ფუნქციონირებს – თბილისსა და ქუთაისში, ფუნქციონირებს SOS ახალგაზრდული სახლები, ასოციაცია საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი უამრავ საინტერესო და საჭირო პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა სოციალური პროექტი „მხიარული ავტობუსი“, რომელიც 2004 წელს ამოქმედდა და უამრავ ბავშვს უმასპინძლა და მასპინძლობს.

„მზის ზეიმი“ მზიურში

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა გასართობი ღონისძიებები „მზიურში“. ბავშვთა ანსამბლებმა კონცერტები გამართეს, გაიმართა ბავშვთა ნახატების გამოფენა.



ღონისძიების ორგანიზატორი საინიციატივო ჯგუფია, რომელსაც ანა გოგუაძე ხელმძღვანელობს.



www.civilin.org/welfare

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ამოქმედდა პროექტის ვებ-გვერდი, სადაც იხილავთ ინფორმაციას პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით. ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია



ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია. ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა. ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

შეხვედრა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში

20 ივნისს, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში გაიმართა შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა:

- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევის შედეგების წარდგენას;
- სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის წევრებს შორის ინფორმაციის გავრცელება–გაცვლას.



შეხვედრას ესწრებოდნენ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროების, ბავშვთა დაცვისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის წარმომადგენლები. ასევე საერთაშორისო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების – TACIS, „Every child“, „ანიკა“, „პირველი ნაბიჯი“, კავშირი „ია“, „ბავშვი და გარემო“, კავშირი ადამიანებისთვის, რომლებიც განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ – წარმომადგენლები.



შეხვედრაზე საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, ხელი მოაწერეს ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რითაც ისინი თანხმდებიან:

- განახორციელონ ერთობლივი მიზანმიმართული ქმედებები ქვეყანაში დეინსტიტუციონალიზაციის ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხელშეწყობის მიზნით;
- იმოქმედონ ერთობლივად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ხელისუფლების ორგანოებთან თანამშრომლობის მაღალი ხარისხი და ზემოთ აღნიშნულ პროცესებში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მაქსიმალური მონაწილეობა;
- უზრუნველყონ ეფექტური საკანონმდებლო აქტების შექმნა და ლობირება;
- ხელი შეუწყონ სწორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას ამ ტიპის ორგანიზაციების შესახებ;
- ხელი შეუწყონ ამ სფეროში არსებული ორგანიზაციების შემდგომ ინსტიტუციონალურ განვითარებას და ახალი ორგანიზაციების შექმნას;
- გაცვალონ ინფორმაცია და გაუზიარონ ერთმანეთს დაგროვილი გამოცდილება.


მემორანდუმში ღია დოკუმენტია, და სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც მზად არის თანამშრომლობისთვის, მასთან მიერთება შეუძლია (მემორანდუმის სრული ტექსტი იხილეთ – <http://www.civilin.org/welfare>).

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა ხელს შეუწყობს სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან სახელმწიფოს მიერ მომსახურების შესყიდვის, დაფინანსების ეფექტური მოდელის შექმნას, რაც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის პროექტის ერთ–ერთი მთავარი მიზანია. სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები მზად არიან მონაწილეობა მიიღონ ეფექტური მოდელის შექმნაში.

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, 2007 წლის მარტი-აპრილში ჩატარა კვლევა. კვლევის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა, მათი შესაძლებლობის, განვითარების პერსპექტივის შეფასება. კვლევამ მოიცვა საქართველოში მოქმედი ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სოციალური ზრუნვის სფეროში მოღვაწეობს. ელექტრონული გამოცემის წინა ნომერში შემოგთავაზეთ კვლევაში მონაწილე სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გეოგრაფიული განფენილობა, ინსტიტუციონალური განვითარების მიხედვით ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციებს შორის 4 ჯგუფი გამოიყო.


ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროცენტული განაწილება ორგანიზაციული განვითარების ჯგუფების მიხედვით



როგორც დიაგრამიდან ჩანს, ზრუნვაზე ორიენტირებულ ორგანიზაციათა 43.4% (36 ორგანიზაცია) ინსტიტუციონალური განვითარების მიხედვით II დონის – ყველაზე დიდ ჯგუფში მოხვდა. III და IV ჯგუფებში

ორგანიზაციები თითქმის თანაბრად განაწილდა, შესაბამისად 22.9% (19) და 20.5% (17), ხოლო I ჯგუფის ორგანიზაციები ყველაზე მცირე ნაწილს – 13.3%–ს წარმოადგენენ (11 ორგანიზაცია).

ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი რეგიონული და დედაქალაქის ორგანიზაციების შედარება განვითარების ჯგუფების მიხედვით



II დონის ორგანიზაციების დიდი ნაწილი – 27 (32.5%) – თბილისშია კონცენტრირებული. I, III და IV დონის ორგანიზაციები თითქმის თანაბრად არის გადანაწილებული დედაქალაქსა და რეგიონებში.

საკონკურსო განაცხადი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს „ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა დახმარების“ პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ ქვეპროგრამაზე – „ჩვენი სახლი“. მცირე საოჯახო ტიპის სახლის პროგრამის მიზანია, ოჯახური გარემოთი უზრუნველყოს თელავის, ქუთაისის და ბათუმის სააღმზრდელო დაწესებულებების ის აღსაზრდელები, რომლებიც ამ სახის მზრუნველობას საჭიროებენ. **დამატებითი ინფორმაცია** – გაზეთი „24 საათი“, 22 ივნისი, 2007

<http://www.civilin.org/welfare>

ტრენინგები სამართლებრივ საკითხებზე

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესებისა და ამ ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში 5-6 ივნისს გაიმართა ტრენინგები სამართლებრივ საკითხებზე.



თბილისში გამართულ ორდღიან ტრენინგს ესწრებოდნენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების – „ანტიტიგმას“, კავშირი „იას“, სმენისა და მეტყველების დაქვეითების მქონე ბავშვთა დახმარების ასოციაციის, საქართველოს ინვალიდ ქალთა საერთაშორისო ასოციაციის, ძალადობის დაცვის ეროვნული ქსელის, ასოციაცია „ლაშა და ობოლას“, საჩხერის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის, საქველმოქმედო კავშირი „თემის“, სრულიად საქართველოს ჰუმანიტარული ფონდი „ვარი მძლეველის“, ასოციაცია „ბავშვი და გარემოს“ წარმომადგენლები.



სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ

საზოგადოებრივ ორგანიზაციებს თავად შეუძლიათ აირჩიონ ტრენინგის თემატიკა, ამჯერად ტრენინგი შემდეგ თემატიკას მოიცავდა:

- არასამეწარმეო იურიდიული პირების დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურები;
- საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მიღების პროცედურები;
- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების პროცედურები.

ტრენინგები მრავალჯერადი ღონისძიებაა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის რეგიონებში გაიმართება.

თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, [სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში](http://www.civilin.org), ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიებების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

პრესის მონიტორინგი

მყოფი მზრუნველობამოკლებული ბავშვების შესახებ 6 პუბლიკაცია, კონკრეტული 2 ისტორია დაიბეჭდა, მოხალისეობას 2 პუბლიკაცია მიეძღვნა, ხოლო დეინსტიტუციონალიზაციის შესახებ 1 პუბლიკაცია გამოქვეყნდა.



სოციალურ სფეროზე


ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს. ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“, „ბასტა“, „მთელი კვირა“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა


მაისისთვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 25 პუბლიკაცია.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- მიუსაფარი ბავშვი
- უპოვარი
- ქუჩის ბავშვი
- მზრუნველობამოკლებული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- უნარშეზღუდული
- ყრუ-მუნჯი
- ფსიქონავალი
- ინვალიდი
- ინვალიდი



- 24 საათი
- რეზონანსი
- ახალი თაობა
- ალია
- ქრონიკა
- ჯორჯიან თაიმსი

თემატიკური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან საქველმოქმედო აქციას მიეძღვნა 4, ქველმოქმედებას 1 სტატია. უშუალოდ ორგანიზაციის პრობლემებზე და ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ 2 სტატია დაიბეჭდა, სხვადასხვა სოციალურ პროგრამებს 4 წერილი მიეძღვნა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ 3 პუბლიკაცია, ქუჩაში მყოფი ბავშვების და სააღმზრდელო დაწესებულებაში

საკონკურსო განაცხადი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო „2007 წლის სამედიცინო სოციალური ექსპერტიზის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში აცხადებს ორეტაპიან ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის მქონე პირთა დამატებითი გამოკვლევებისა და შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის მიზნით მომსახურების შესყიდვაზე.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 18 ივნისი, 2007

<http://www.civilin.org/welfare>

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ სფეროზე
ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების
პროექტის ფარგლებში, სწავლობს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების
თანამშრომლობის საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას. ამჯერად გთავაზობთ
ესტონეთის გამოცდილებას**

ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის, ესტონეთი პირველი სახელმწიფოა, რომელმაც მუშაობა დაიწყო არასამთავრობო სექტორის მდგრადი განვითარების მიმართულებით, განსაზღვრა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საჯარო სექტორს შორის ურთიერთობის ძირითადი ჩარჩოები. ამ ეტაპისთვის, ესტონეთის არასამთავრობო ორგანიზაციების ინიციატივით, სამოქალაქო საზოგადოების, სამთავრობო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების ერთობლივი ძალისხმევით, განსაზღვრულია ორი სექტორის ურთიერთთანამშრომლობის ძირითადი სტრატეგია. არასამთავრობო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის ფუძემდებლურ დოკუმენტად მიიჩნევა „ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული კონცეფცია“, რომელიც ესტონეთის პარლამენტმა 2002 წელს მიიღო. ასევე, „ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კონცეფციის სამოქმედო გეგმა“, რომელიც ესტონეთის მთავრობამ 2004 წელს დაამტკიცა.

ესტონეთის გამოცდილება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საჯარო სექტორის თანამშრომლობის კუთხით მხოლოდ აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების დონეზე არის საინტერესო, რადგან ორივე დოკუმენტი ახალი მიღებულია, ამდენად, ამკარა შედეგების განსაზღვრის და შეფასების შესაძლებლობას ამ ეტაპზე არ იძლევა.

„ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ეროვნული კონცეფცია“ განსაზღვრავს ორი სექტორის თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს, ხაზს უსვამს არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების ზრდის აუცილებლობას, ასევე დაფინანსების მექანიზმების დახვეწისა და დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის საჭიროებას.

კონცეფცია ადგენს შესაბამის ნაწილში, რომ ორი სექტორის წარმომადგენლები „გამოიყენებენ ყველა შესაძლებლობას საგადასახადო რეჟიმის ისეთი გარდაქმნისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს კომერციული სექტორის ინტერესის ზრდას სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მიმართ“. კონცეფცია განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფონდებიდან არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ფინანსური რესურსის გადაცემის პროცესის გამჭვირვალობას, ასევე, უზრუნველყოფს

რესურსის გადაცემის სამართლიანობას და გააძლიერებს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს ფინანსური რესურსის მიზნობრივ განკარგვის მონიტორინგს.

კონცეფცია ადგენს, ასევე, რომ ესტონეთის მთავრობა და არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივად შეიმუშავებენ სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მომსახურების შესყიდვისთვის აუცილებელ ეფექტურ მექანიზმებს.

ბოლოს, კონცეფცია ადგენს, რომ დასახული მიზნების დროული და ეფექტური რეალიზაციის მიზნით, დაარსდება გიბრიდულ კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში ესტონეთის მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების წარმომადგენლები შევლენ. კომიტეტის ფუნქციაა კონცეფციით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სამოქმედო გეგმების შემუშავება, შემუშავებული გეგმების დროული განხორციელების უზრუნველყოფა და მიღწეული შედეგების შეფასება.

დამატებით, კონცეფცია მიუთითებს, რომ წელიწადში ორჯერ, ესტონეთის პარლამენტი ოფიციალურად განიხილავს კონცეფციის განხორციელების პროცესს და შეაფასებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროცესის პროგრესს.

მითითებული მიზნების რეალიზაციისთვის, ესტონეთის მთავრობამ დაამტკიცა „ესტონეთის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სამოქმედო გეგმა“ 2004-2006 წლებისთვის. გეგმაში პრიორიტეტად არის გამოყოფილი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების პრობლემის გადაჭრა. გეგმა მიუთითებს, შესაბამის ნაწილში, რომ ესტონეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, გიბრიდულ კომიტეტთან თანამშრომლობით, შეიმუშავებს არასამთავრობო ორგანიზაციების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების გამჭვირვალე და მოქნილ სქემას და მოამზადებს შესაბამის საკანონმდებლო პაკეტს. გეგმის მიხედვით, ფინანსთა სამინისტრო, გიბრიდულ კომიტეტთან ერთად, შეიმუშავებს საკანონმდებლო ცვლილებებს საგადასახადო რეჟიმის გარდაქმნისთვის საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების სასარგებლოდ.

